

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 00 77 95

N 83
28/02/2017

83-07-3-201702281405



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს გიორგი ხელაძეს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო გიორგი,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 24 თებერვალს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ სხდომა №3.

დანართი: სხდომის ოქმი №3-7 (შვიდი) ფურცელი

პატივისცემით,

ელგუჯა ჩხაიძე

ფრაქციის თავმჯდომარე

ფრაქცია "ლანჩხუთი-ევრო ატლანტიკური მომავლისთვის"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“
სხდომის ოქმი №3

ქ.ლანჩხუთი

24.02.2017 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“ თავმჯდომარე ელგუჯა ჩხაიძე.

ფრაქციის წევრები: გიორგი გოგუაძე, კახაბერ ასკურავა.

მოწვეული პირები: გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, გამგეობის ეკონომიკის, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი ვლადიმერ ჩხაიძე, საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი ელგუჯა ჩხაიძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებაში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციის კონტროლის კითხვარის ფორმისა და მისი შევსების მეთოდური რეკომენდაციის დამტკიცების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი ელგუჯა ჩხაიძე/

3. სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ელგუჯა ჩხაიძემ აღნიშნა, ვინაიდან სხდომის დასაწყისისთვის არ იმყოფებოდა საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთი გურიას“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, რომელიც მოწვეული იყო მიზანშეწონილად ჩათვალია მეორე საკითხის პირველ საკითხად გადმოტანა, რასაც დაეთანხმნენ ფრაქციის წევრები.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ელგუჯა ჩხაიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტის შესწორებულ ვარიანტს.

მომხრე 3, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის პირველ საკითხზე– „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებაში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციის კონტროლის კითხვარის ფორმისა და მისი შევსების მეთოდური რეკომენდაციის დამტკიცების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს დირექტორმა, **ვლადიმერ ჩხაიძემ**. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2015 წლის N473 დადგენილების საფუძველზე შეტანილ იქნა ცვლილებები: ტექნიკური რეგლამენტი - საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური წარმოების ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმების დამტკიცების შესახებ შემდეგი რედაქტირებით:

1. საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროდუქტების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმები.
2. საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებმა 2016 წლის პირველ იანვრამდე უზრუნველყონ ღონისძიებების გატარება დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.
3. ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შერჩევითი კონტროლის განხორციელება დაიწყო 2016 წლის 15 იანვრიდან.

ასევე, შეტანილ იქნა ცვლილება კანონში „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ და „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“. აღნიშნული ცვლილება შეტანილ იქნა 2016 წლის 24 ივლისს, რომელიც ეხება „ტექნიკური რეგლამენტი საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროდუქტების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმების დამტკიცების შესახებ“. შეტანილი ცვლილებების მიხედვით საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროდუქტების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარული ნორმების შეუსრულებლობა გამოიწვევს ფიზიკური პირების და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირების დაჯარიმებას 50 ლარის, ხოლო იურიდიული პირების - 100 ლარის ოდენობით. განმეორების შემთხვევაში ფიზიკური პირის - 200 ლარით, ხოლო იურიდიული პირის - 500 ლარით დაჯარიმებას. ასევე, თუ ფიზიკური ან იურიდიული პირი თავისი საქმიანობით არ იქნება დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გამოიწვევს მათ დაჯარიმებას შესაბამისად 500 და 1000 ლარის ოდენობით.

აღნიშნული კანონი ძალაშია გამოქვეყნების დღიდან (2016 წლის 24 ივლისი). შესაბამისად, შეტანილ იქნა ცვლილება ა(ა)იპ - ის დებულებაში. ამასთან, ა(ა)იპ - ის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 10 მარტის ბრძანება N62 - ის საფუძველზე დაევალა აღნიშნული საქმიანობის განხორციელება და კონტროლი. აქედან გამომდინარე, გასულ წელს ა(ა)იპ - ის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ის მიერ პირველ რიგში ჩატარდა მონიტორინგი. მოხდა იმ დაწესებულებების აღრიცხვა, რომლებიც არიან რეგისტრირებული და ეწევიან აღნიშნულ საქმიანობას. ასეთი დაწესებულება სულ იყო 11, ხოლო დღევანდელი მონაცემებით ფუნქციონირებს - 9. ყველა მათგანს მიეცა სათანადო რეკომენდაცია აღნიშნული ცვლილებიდან გამომდინარე. ასევე გადამოწმებულ იქნა საჯარო რეესტრში გაცემული ნებართვა მათი საქმიანობის შესახებ და გადაეცათ დოკუმენტი აღნიშნული ცვლილებების შესახებ.

დ.კ.ე.ც-ს მიერ მოწოდებული კითხვარის საფუძველზე ჩატარდა მონიტორინგი, მოსამსახურე პერსონალი გაფრთხილებულ იქნა აღნიშნული ტექნიკური რეგლამენტის დაცვის თაობაზე, მიეცათ გონივრული ვადა ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით. დაურიგდათ შესაბამისი კითხვარი - სახელმძღვანელო, რომლის შესრულებაზე დადასტურება მოხდა მათივე ხელმოწერით. აქედან

გამომდინარე, კანონის შესაბამისად ა(ა)იპ - ის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ აქვს უფლებამოსილება ჩაატაროს შერჩევითი მონიტორინგი აღნიშნულ ობიექტებზე წლის ნებისმიერ დროს, ხოლო დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში უნდა განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები. სანქციების გატარებისთვის აუცილებელია ა(ა)იპ -ის გადაეცეს დარღვევის აქტის დადასტურების შესაბამისი ფორმა, რომელიც გააჩნია მუნიციპალიტეტის გამგეობას. აღნიშნულ მონიტორინგს და სანქცირებას განახორციელებს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს ექიმი - ჰიგიენისტი ე.ჯიბლაძე.

ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს დირექტორის, **ვლადიმერ ჩხაიძის** აზრით, მართალია, მოიმატებს მომსახურების ღირებულება, მაგრამ ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი ფორმით უნდა ეცნობოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ის დირექტორმა, **ვლადიმერ ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ჰიგიენის დაწესებულებებსა და სალონებში ჩატარდა მონიტორინგი, რომლის დროსაც მფლობელები და თანამშრომლები გაეცნენ მთავრობის შესაბამის დადგენილებას. ასევე, მათ განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით მიეწოდათ ყველანაირი ინფორმაცია. ისინი ყოველივე ამას მოეკიდნენ დიდი პასუხისმგებლობით. კონკურენტულ გარემოდან გამომდინარე გაუჩნდათ გარკვეული ინტერესები, რადგან მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაძლებელია დაიხუროს მათი დაწესებულებები. მაკონტროლებელი ღონისძიებების მიზანია შეიქმნას ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემო, თორემ ვინმეს დაჯარიმება და რომელიმე დაწესებულების დახურვა თვითმიზანი ნამდვილად არ არის.

დეპუტატი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა მოხდა თუა არა „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ წყალწმინდაში გარდაცვლილი ადამიანების გარდაცვალების მიზეზის დადგენა და პრევენციის გატარება. დეპუტატმა აღნიშნა, რომ ოჯახის ახლობელია და როგორც მას უთხრეს ორივე ერთნაირი სიმპტომებით იქნა გარდაცვლილი, მოსახლეობა შეშინებულია და ეჭვობს, რომ ეს არის მღრღნელების მიერ გადატანილი ინფექციის ბრალი, რაზეც ვლადიმერ ჩხაიძემ განმარტა, რომ ის იმ პერიოდისთვის იმყოფებოდა თბილისში, მაგრამ იქ იყო ეპიდემიოლოგი, თუმცა რაიმე კვლევის ჩატარება ვერ მოხერხდა. მან აღნიშნა, რომ ყოველივე ამის შესახებ მას მიაწოდეს ზეპირად და არანაირი წერილობითი მომართვა არ არსებობს. მისი თქმით, იმ სტაციონარიდან, სადაც გარდაიცვალა ახალგაზრდა უნდა მოეწოდებია მიზეზი თუ რა დაავადებით გარდაიცვალა, როცა საქმე ეხება ინფექციის გადატანას იქაურ ეპიდემიოლოგსაც უნდა ჩაეტარებინა კვლევა და გადმოეგზავნა ლანჩხუთის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში“. ასევე ღრმადელის ადმინისტრაციული ერთეულის უბნის ექიმი ვალდებულია ინფორმაცია წერილობით მოგვაწოდოს არა მხოლოდ ის რომ გარდაიცვალა, არამედ მასაც უნდა გაეკეთებია მოკვლევა ამ კუთხით. ექსპერტიზის დასკვნის არსებობის შემთხვევაში უნდა დაევალებიათ ჯანდაცვის ცენტრისთვის, მაგრამ ამ დრომდე არანაირი წერილობითი თუ ზეპირი განცხადებით არავინ შემოსულა.

დეპუტატმა კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ მომრავლდა „ც“ ჰეპატიტის მატარებელთა რაოდენობა, რისთვისაც აუცილებლობას წარმოადგენს მოხდეს შესაბამისი ზომების გატარება.

დეპუტატი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა სხვა კუთხით მოწესრიგებულია თუ არა მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები, მაგალითად გარე ვაჭრობის საკითხი, რაზეც „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორმა ლადო ჩხაიძემ განაცხადა, რომ მის ფუნქციებში არ შედის და სურსათის უვნებლობის სამსახურის ფუნქციას წარმოადგენს აღნიშნული პრობლემის მოწესრიგება.

დეპუტატმა კახაბერ ასკურავამ აღნიშნა, რომ წინა ხელისუფლებას მისი რეიტინგის ფასად უჯდებოდა გარე მოვაჭრეების პრობლემატური საკითხის მოგვარება. მან აღნიშნა, რომ მისი გამგებლობის პერიოდში

ბაზრის ერთმა ნაწილმა მას მიმართა საჩივრით, რომ ისინიც გარეთ ქუჩაში გამოვიდოდნენ თუ არ მოწესრიგდებოდა გარე ვაჭრობა, მაშინ მან დაიბარა იმერეთის ბაზრის უფროსი და წავიდა მოლაპარაკებაზე, რომ რამდენიმე მაგიდა დამატებია გარე მოვაჭრეებისათვის, სწორედ ამ დროს გარე მოვაჭრეები მივიდა ქუჩაში დგომის უფლების თხოვნით დეპუტატ თემურ ჩხაიძესთან, რომელმაც მათ ქუჩაში დგომის უფლება მისცა. სწორედ უპასუხისმგებლო ხელისუფლების ბრალია მუნიციპალიტეტში კვლავ რომ დგას აღნიშნული პრობლემა.

ფრაქციის წევრების მიერ მოსმენილი იქნა განკარგულების პროექტი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე ხელშეკრულების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩხაიძემ. მან აღნიშნა, რომ საფეხბურთო კლუბ „ლანჩხუთის გურიას“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი მოწვევის მიუხედავად არ მოვიდა ფრაქციის სხდომაზე.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ კლუბის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი და ფინანსური მენეჯერი იმყოფებოდნენ გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში და მიზანმიმართულად არ დაესწრნენ ფრაქციის სხდომას. მან აღნიშნა, რომ ფრაქციის მისამართით ისმის ბრალდებები თითქოსდა მერაბ ჟორდანიას მოსვლას ფრაქცია აფერხებს. მან აღნიშნა, რომ რაც ეს თემა წამოიჭრა მას შემდეგ ამბობს ხელშეკრულება იყოს პირობიანი, რათა დროულად მოვიდეს მერაბ ჟორდანია. ასევე დაინტერესდა, არის თუ არა სიახლეები ხელშეკრულების შედგენაში, რაზეც გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ განაცხადა, რომ ამოღებული იქნება სამეწარმეოს იურიდიულ პირად გარდაქმნა, გაგზავნილი იქნა ფრაქციის მიერ მოთხოვნილი 15 %, რაზეც მოვიდა პასუხი, რომ დამატებით დამძიმდებოდა პირობები. რაც შეეხება ორ ლოტს, მათ განვუმარტე, რომ ეს არ იყო მხოლოდ ერთი ფრაქციის მოსაზრება, აუქციონი უნდა გამოცხადდეს ერთ ლოტად, მუნიციპალიტეტის ინტერესია, რომ ა(ა)იპ-ის მიხედოს ინვესტორმა. ხელშეკრულებაში უნდა ჩაიდოს დამცავი ბერკეტები, რომ ინვესტორმა ოთხი წლის შემდეგ არ შეწყვიტოს ხელშეკრულება და მუნიციპალიტეტი სარგებლის გარეშე დატოვოს.ჯერ ოფიციალურად არაა საკრებულოში შეტანილი საკითხი.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების დარღვევის შემთხვევაში მესაკუთრეს რჩება მის მიერ აშენებული ინვესტიციები. ქვეყანა არის არაპროგნოზირებადი, მთავრობამ გრიგოლეთში დაანონსა ნავთობგადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობა, რაც თავისთავად გრიგოლეთს შეუწყვეტს კურორტის სტატუსს და სრულიად შესაძლებელისა ინვესტორმა არანაირი ინვესტიცია არ ჩადოს. ფეხბურთის ფონდის გადაწყვეტილებაა, რომ მუნიციპალიტეტმა ოთხი წლის მანძილზე მონახოს ინვესტორი. ინვესტორმა შესაძლოა ოთხი წლის მანძილზე ხარჯოს ფედერაციის მიერ გამოყოფილი თანხა და შემდეგ შეწყვიტოს ხელშეკრულება, ამიტომ არის ჩემი მოსაზრება, რომ 250 000 ნაცვლად ჩაიდოს 700 000 ლარი. მუნიციპალიტეტი ოთხი წლის მანძილზე არ ახდევინებს, მაგრამ თუ შეწყვეტს ხელშეკრულებას ინვესტორმა უნდა დატოვოს კლუბში 700 000 ლარი.

დეპუტატი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა შესაძლებელია თუ არა აუქციონის გვერდით ავლით მოხდეს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა, რაზეც გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი არაა უფლებამოსილი მართვის წილი განკარგოს აუქციონის გარეშე. მხოლოდ თბილისის მთავრობას აქვს ამისი უფლება.

დეპუტატი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა, რა სახით გადაეცა კლუბს ქონება, რაზეც გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ აღნიშნა, რომ უზუფრუქტის სახით მოხდა ქონების გადაცემა.

დეპუტატი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა რა დროა საჭირო პროცედურებისთვის, რაზეც გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ აღნიშნა, რომ დაახლოებით ორი თვეა საჭირო საერთო ჯამში.საკრებულოს მიერ განკარგულების მიღების შემდეგ ერთ კვირაშია შესაძლებელი აუქციონის გამოცხადება, შემდეგ კი აუქციონს მისი პირობები აქვს და ორ თვეს მოიცავს.

დეპუტატი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა აუქციონის ჩატარებას ხელს ხომ არ შეუშლის თუ ვინმე შეიტანს საჩივარს დავალიანებასთან დაკავშირებით, რაზეც გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ განმარტა, რომ ძველ დავალიანებაზე ახალი ხელმძღვანელი არაა პასუხისმგებელი.

დეპუტატი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა ვის მიერ უნდა იქნეს გადახდილი აღნიშნული დავალიანება, რაზეც საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო,იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რომან ბიწაძემ აღნიშნა, რომ კლუბისა და მუნიციპალიტეტის მიერ უნდა მოხდეს დავალიანების დაფარვა.

გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ აღნიშნა, რომ საკმაოდ მრავალწლიანი პროგრამაა და იგი მიესაღებოდა თუ მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული მუნიციპალიტეტის ინტერესები ხელშეკრულებაში.

ფრაქციის თავმჯდომარემ ელგუჯა ჩაიძემ აღნიშნა, რომ ყველა ინვესტორის ფიქრია კაპიტალის გაზრდა, ამიტომ აუცილებელია ხელშეკრულების სწორად შემუშავება, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული მუნიციპალიტეტის ქონება.

გამგეობის ეკონომიკის, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი თანხას დებს აუდიტის მიერ შემოწმებულს, იქ დაფიქსირებულია კლუბის დავალიანებებიც. აუდიტის დასკვნას ვერსად გაექცევინ, რაზეც გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ განმარტა, რომ მართვის წილი ნულოვანია სწორედ იმიტომ, რომ კლუბს დიდი დავალიანება აქვს.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ მერაბ ჟორდანიას დიდი წვლილი მიუძღვის, „ლანჩუთი გურიას“ წინსვლაში. ის ეხმარებოდა გურიას მაშინ, როცა ამისი უფლება არ ქონდა. მისი დამსახურება იყო ლანჩუთში ფეხბურთის ფედერაცია, რომელიც ოზურგეთში გადაიტანეს და დღეს ხდება პრეზიდენტის არჩევა, ამ ხელისუფლების უნიათობის გამო ხდება ეს ყოველივე.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო,იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რომან ბიწაძემ აღნიშნა, რომ ბაზაზე სტადიონის ერთ ნაწილში დგება წყალი, რის გამოც ფეხბურთელები ვეღარ ვარჯიშობენ, ხელმძღვანელობის თქმით, სტადიონზე წყალი არასდროს დგებოდა. დეპუტატის აზრით ქვალორლის ამოღების შედეგია და მისი მოსაზრებით თუ ასე გაგრძელდება ათ წელიწადში ბაზა აღარ იარსებებს. მან დააყენა წინადადება, რომ შეტანილი იქნას ქვალორლი აღნიშნული ადგილის გასამაგრებლად.

დეპუტატმა გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ დავალიანება 2011 წლიდან არსებობს, როგორც აღნიშნა მას ხელთ აქვს კახა ასკურავას მინაწერი „პროგრეს“ ბანკთან. 2012 წელს კახა ასკურავა იყო გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი და ეს ის პერიოდია, როცა ახალი ხელისუფლება მოვიდა, ეჭვს არ ბადებს, რომ კახა ასკურავა ვერ იქნებოდა სესხის აღების გარანტი, რაც შეეხება, იმას რომ მისი გამგებლობის პერიოდში იმიტომ დათანხმდა უმაღლეს ლიგას და სტადიონს, სპონსორი მოდიოდა. დეპუტატი თემური ჩხაიძე გახდა გარანტი „პროგრეს“ ბანკთან, საიდანაც აღებული იქნა 250 000 ლარი წინააღმდეგ შემთხვევაში გუნდი იშლებოდა. საკრებულოს სხდომაზე დაისვა კითხვა რა უზრუნველყოფით გასცა ბანკმა სესხი. ოფიციალურად გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის წერილია უზრუნველყოფა, სადაც ბოლოს წერია, რომ 2013 წლის ბოლოსთვის გამგეობა უზრუნველყოფდა ამ ვალების დაბრუნებას. გამგებლად როცა ზაზა ურუშაძე მოვიდა მას ბიუჯეტში დახვდა 400 000 ლარი დავალიანების გასასტუმრებლად, მაგრამ მას დავალიანება არ


გადაუხდია. გამგებელი უდიდესი დაპირებებით მოვიდა გურია იქნებოდა ევროპის გუნდი. გამგებლის გადაუხდელობის გამო წარმოიშვა დამატებითი ვალდებულება 200 000 ლარი მისი არასწორი ქმედების გამო იზარალა ბიუჯეტმა.

დეპუტატი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა რამდენად სამართლიანია სხვა ა(ა)იპ-ებინ თანხის სესხება საფეხურთო კლუბ „ლანჩუთი გურია“-სათვის, რაზეც გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ განმარტა, რომ ა(ა)იპ-ის დებულება არ უკრძალავს აღნიშნულ ქმედებას. დამატებითი ასიგნიების ნაშთის არსებობის შემთხვევაში ა(ა)იპ-ის აქვს უფლება.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ფრაქცია „ლანჩუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“



თავმჯდომარე:



ელგუჯა ჩხაიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ ლანჩხუთი ევროატლანტიკური
მომავლისათვის“ წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24 თებერვალი 2017 წელი
12.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ელგუჯა ჩხაიძე	11 30	
2	გიორგი გოგუაძე	11 35	
3	კახაბერ ასკურავა	11 35	